ბრძანება:**ბ34. 34230604**

თარიღი:**01/03/2023**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის თაობაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ შენობაში ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ 47-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ნინო დიდებაშვილის პირადი განცხადების (N05-342306019, 01.03.2023წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად, გამოქვეყნებულ იქნეს ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში.

2. განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს 2 სამუშაო დღე.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.#17).

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი